


№ 39.—1914

30 ნოემბერი



მათი იმპერატორებითი უდიდებულესობა

# ნიკოლოზ II

მისი თბილისში ჩამობრძანების გამო

9818.3

თეატრი და ცხოვრება

№ 39

# შინაარსი:

1. **მეთაური** — გზა ხსნილი 1
2. **მეფის მობრძანება თბილისში**
3. **ის. ვარაზაშვილი** — სალამი 2
4. **გ. ქუჩიშვილი** — ამოება, ლექსი „
5. **მიხ. კიაზოშვილი** — ხომ დავიღუპეთ „
6. **ა. შანშიაშვილი** — სიმღერა, ლექსი 4
7. **დავ. კილოსანიძე** — მწვერვალნი „
8. **დავ. მესხი** — ივანე მაჩაბელი 5
9. **ანეტა კაპანაძისა** — ხალხური შემოქმედება, ლექსი 7
10. **იოსებ გედევანიშვილი** — სინათლე, — ნაწილი მეორე (ზღაპარი-ფეერია 3 მოქ. და 7 სურ.) 8
11. **ვ. საყვარელიძე** — კომპოზიტორ ფოცხვერაშვილის სასულიერო კონცერტი 10
12. **ევ. ფურცხვანაძე** დედის მკვლელი 12
13. **ქართული სახიობა** (დრამ. დასის ამხანაგობა, ქუთაისის თეატრი, სახალხო სახლი, ავლაბრის სახალხო თეატრი, ნაძალადევის სახალხო თეატრი) 13
14. **წვრილი ამბები** 16
**სურათები; განცხადებანი;**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახალხო სახლი

**ორშაბათს, 1 დეკემბერს 1914 წ.** თბილ. ქართ. დრამ. დასის ამხანაგობის მიერ წარმოდგენილ იქნება

# იმედის დაღუპვა

დრამა 4 მოქ. თარგმ. დ. მესხისა
მონაწილეობს მთელი დასი.
ადგილების ფასი 10—1 მ. 20 კ.
დასაწყისი საღ. 8 ს.
რეჟისორი **ა. წუწუნავა**

---

**ოთხშაბათს, 3 დეკემბერს**

# I ზღვასთან

დრამა 3 მოქ. თარგ. ვ. შალიკაშვილისა

# II თაიგული

ოდ. 1 მოქ. გადმოკეთებული ა. ქუთათელაძის მიერ
დასაწყისი საღ. 8 საათზე
რეჟისორი მ. **ქორელი**

---

# ნაძალადევის სახალხო სახლის გამგეობა

იწვევს მუდმივ სცენის მოყვარეთა: ქალთა და ვაჟთა. მსურველთ სთხოვენ მიმართონ ნაძალადევის თეატრში — ყოველ დღე, საღამოს 5 საათიდან — 8 საათამდე

---

## ავლაბრის სახალხო თეატრი

**კვირას, 30 ნოემბერს 1913 წ.**
ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების **მმართველი** წრის მიერ მსახიობთ ი. ივანიძის **და** ი. ჟივიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

# სამშობლო

ისტორიული დრამა 5 მოქმ. დავ. ერისთავისა
მონაწილეობს მთელი დასი
დასაწყისი საღამოს 7 საათ.
**რეჟ. ი. ივანიძე** რეჟ. თან. **ი. რევაზიშვილი**
**მორიგე გამგე თ. ნასიძე**

## თეატრი ნაძალადევი

**კვირას, 30 დეკემბერს 1914 წ.**
ნაძალადევის სცენის მოყვარეთა წრისაგან ქ. ჩიქოვანის მონაწილეობით წარმოდგ. იქნება

# თამარ ბატონიშვილი

ისტორიული დრ. 5 მოქ კ. მესხისა
**მონაწილეობენ**: ქ. ე. ჩიქოვანი, ს. გოგაშვილისა და სხ. ბ.ბ, გ. გაბინაშვილი, ი. გორგაძე, ი. კანდელაკი, ვ. კუდახაშვილი,, ა. კაციტაძე, გ. სვანიძე, ა. ომანიძე, გ. შავიშვილი, ნ. ფარესიშვილი და სხ.
**დასაწყისი საღამოს 7 ს.**
ადგილების ფასი: 10 კ. 30 კ-მდე
რეჟ **ს. პ. სვიმონიძე** რეჟ. თან. **ი. კანდელაკი**
მორიგი გამგე **ი. სუხიშვილი**

# თეატრი და ცხოვრება

№ 39

წ. II

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“-ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ. Ред. „Театри да Цховреба“ І. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება სორაპანის“ სტამბის კანტორაში- დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 39 კვირა 30 გიორგობისთვე 1914 წ.

## 30 გიორგობისთვე

**გზა ხსნილი**

ყოველგვარი ხელოვნება — სახიობა, მხატვრობა, მუსიკა, ცეკვა, სიმღერა — და მწერლობა მხოლოდ თავისუფალ ქვეყანაში განვითარდება, იქ, სადაც ადამიანის აზროვნებას, შემოქმედების თავისუფლებას ბორკილები არ აძევს და სულის უმაღლეს მისწრაფებათ გზა ხსნილი აქვს.. ასეთი თავისუფლების დროს შეიძლება ერის აღორძინებაც. ისე კი, როდესაც აზრი დაშინებულია, სული მოშხამული, სიტყვა შებორკილი, კალამი დახუნძლული, არავითარი განვითარება და წინსვლა არ შეიძლება... ასეთ მდგომარეობაში ადამიანი თოჯინავდება და მისი ნიჭი ვერ ნაყოფიერობს...

ამიტომ, ვისაც რამე ულირს სამშობლო ხელოვნება და მწერლობა, მისი ყოველი ნაბიჯი, ყოველი სურვილი ის უნდა იყოს გზა გაუხსნას თავისუფალ, ლაღ აზროვნებას, შემოქმედებასა და განვითარებას...

მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩვენი ნიჭი გაიფურჩქნოს, მუსიკა გამრავალფეროვნდეს, მწერლობა გამდიდრდეს, პოეზია გაღრმავდეს, დრამატურგია წინ წავიდეს, თეატრმა უფრო სისწორით და პირნათლად შეასრულოს თავისი მაღალი დანიშნულება!..

## მათი იმპერატორებითი უდიდებულესობა ხელმწიფე-იმპერატორი ნიკოლოზ II

საქართველოს დედა-ქალაქ თბილისში ჩამობრძანდა ოთხშაბათს, 26 გიორგობისთვეს, შუადღის 11 ს. 55 წ. სადგურზე შეეგებენ კავკასიის სამართველო, წოდებათა, საქალაქო და ვაჭართა წარმომადგენელნი. პირველი სიტყვა მოახსენა თბილ. გუბერ. თავ.-აზნ. წინამძღოლმა თავ. კ. ნ. აფხაზმა, მეორე ქალაქის მოურავმა ა. ი ხატისოვმა, მესამე—ვაჭართა მამასახლისმა. მ. ი. უ. ხელმწიფე-იმპერატორი ავტომობილში ჩაბრძანდა და (ვერის ხიდით, გოლოვინის პროსპექტით) პირდაპირ საქართველოს უძველეს საკრებულო სიონის ტაძარში წაბრძანდა, აქედან სომეხთა ვანქის ტაძარში, შემდეგ თათრების ორ მეჩეთში, ბოლოს სასახლეში დაბრუნდა. საღამოთი დაათვალიერა სამხედრო სასნეულოები. ქალაქს სადღესასწაულო ელფერი ედო: მორთული იყო ხალიჩებით, დროშებით, მცენარეულობით; რამდენიმე ადგილას აღმართული იყო თაღები, სვეტები სხვა და სხვა წარწერებით, მაღაზიებში მეფის მორთული სურათები იყო გამოფენილი. საღამოთი ქალაქი საუცხოვოდ იყო გაჩირაღდნებული; 27 გიორგობისთვეს მ. იმპ. უდიდებულესობას წარუდგნენ სხვა და სხვა წოდებათა წარმომადგენელნი. 28 გიორგ. მ. ი. უ დაათვალიერა სასწავლებლები, ამავე დღეს თბ. გუბ. თავ.-აზნ. წინამძღოლმა მათს იმპ. უდიდ. ნადიმი გაუმართა დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში, 29 გიორგ. ქალაქის მხრით ნადიმი გაუმართეს „არტისტ. საზ. თეატრში“. მათი იმპ უდიდ. ჩერქეზულად (ყუბანის კაზაკთა პოლკის ფორმაში) იყო გამოწყობილი, მეტად სადათ. სიონში ყოფნის დროს მათს. იმპ. უდიდ. უჩვენეს ქართველ მიტროპოლიტ-კათოლიკოსთა მიტრები და სხ·

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სალამი

გულითა და სულით მივესალმები თბილისის ქართველ მსახიობთა ამხანაგობას!

მძიმე, შეუფერებელ პირობებში მოგიხდათ იმ აზრის განხორციელება, რომელსაც ისე მხურვალედ გამოესარჩლეთ კრილობაზე და ალ. წუწუნავას პირით მიმართეთ დრ. საზოგადოებათა გამგეობას: „გაგვანთავისუფლეთ თქვენი ასეთი მზრუნველობისაგან, მოგვეცით ნება ჩვენს საქმეს ჩვენვე მოუაროთ, რომ ქურუმს შეეძლოს თავისუფლად შესწიროს მსხვერპლი მელპომენის საკურთხევლის წინაშე!“

ამ სიტყვებში იყო გამოთქმული მსახიობთა გულის ნადები, ძლიერი სურვილი თვითმოქმედებისა და დამოუკიდებლობისა.

მახსოვს, როცა კომისიაში და მერე კრილობაზე აღძარი საკითხი დრამატ. საზ. მიერ ანტრეპრიზის მოსპობის შესახებ, თქვენ ყველაზე უწინ და ყველაზე მხურვალედ გამოესარჩლეთ ჩემს აზრს, ყველამ იწამეთ, რომ მე მართალი ვიყავ: რომ სიკეთე მსურდა როგორც თქვენთვის, ისე დრამ. საზოგადოებისათვის. ყველანი უეჭველოთ, აღტაცებით ამბობდით, რომ ეს ასეც უნდა იყოს, ასე სჯობიაო.

მხოლოდ ვ. გუნია მეუბნებოდა: „ვიცი მართალი ხარ, ცათამდის მართალი, მაგრამ მწარე გამოცდილებით გეუბნები, რომ მსახიობთა დამოუკიდებელი, ამხანაგური მუშაობა ვერ იბოგინებსო. ხასიათი გვაქვს ასეთი, თუ რა გვემართება, არ ვიცი, ხოლო ჩვენში ამხანაგობამ ვერ იხეირაო.“ ეს ნაღვლიანი ეჭვი ჩვენი სცენის მოამაგისა გულს მიღონებდა. მაგრამ მაინც მწამდა და მწამს, რომ გამარჯვება იმის მხარეზეა, ვინც თავისუფლებისაკენ, დამოუკიდებლობისაკენ თანამშრომლობის გზით მიისწრაფვის და სხვის ხელში შეჩერებას თაკილობს, ამხანაგის მეტ-ქეობა სამარცხვინოდ მიაჩნია.

ამ აზრით გამხნევებული გამოვედი კრილობაზე ჩემის აზრის დასაცავათ და რა ვნახეთ? თბილისის დრამატ. საზ. გამგეობამ ბ. შალვა ესხიშვილის სახით განაცხადა:

„დრ. საზოგადოებ მ რომ ანტრეპრიზას თავი დაანებოს და საქმე მსახიობთა ამხანაგობას მიანდოს, ჩვენი თეატრი დაიღუპება.“

ასეთი იყო დედა აზრი მათი განცხადებისა. თქვენ და მეც თქვენთან გული გვატკინა ამ განცხადებამ. ჩვენ ვფიქრობდით, რომ თეატრს მსახიობით უდგია სული, და მსახიობთა ხელში თეატრის საქმე რატომ უნდა დაღუპულიყო?

დღეს გარემოება შეიცვალა. ამხანაგობის არსებობა მაშინ არავისა სწამდა, დღეს კი ეს ფაქტია. გარემოებამ ხორცი შეასხა აზრს და ეს ხორცშესხმული აზრი — თქვენი ამხანაგობა — თავისი საკუთარი მხარ-ბეჭით მიეზიდება სათეატრო საქმეს ჩვენს დედა ქალაქში ძნელად წარმოსადგენ ცუდ პირობებში. მაგრამ სწორედ განსაცდელი ააშკარავებს ადამიანის სულის სიმტკიცესა და ვაჟკაცობას.

თუმცა ტაძარი ჩვენი სათეატრო ხელოვნებისა დავკარგეთ, დაგვეღუპა, თუმცა მრავალი ქონება და საუნჯე ჩვენი სცენისა ცეცხლმა შთანთქა, თუმცა თქვენ უბინაოდ ხართ, სხვის კართ გიხდებათ ყოფნა და თავის შეფარება, მაგრამ მაინც მწამს, რომ ჩვენი საყვარელი, ჩვენი აღმზრდელი ხელოვნების საქმე თქვენს ხელში არ დაიღუპება, რადგან ვხედავ, რომ მას უბით ატარებთ, გულის სიმხურვალით ათბობთ, ვითა სუსხისაგან დაზრულს ნაზ მერცხალს.

გინახავთ მერცხალი, რომელსაც ზამთარმა ადრე მოუსწრო და აბუზული ფრთებ ჩამოყრილი ძლივს დაღოღავს, აღარ შეუძლია თვალწარმტაცი აღმაფრენა და გათოშილი უმწეოდ სულსა ლევს?

ჩვენი თბილისის თეატრსაც უეცრივ დაუდგა ზამთარი და თქვენს მხურვალე უბეს შემოაფარა თავი.

გაათბეთ, გეთაყვა, მოუარეთ თქვენებურად და კვლავ საამოდ ააჭიკჭიკეთ ჩვენი ერის გაზაფხულის მახარობელი!...

მიხარია, ამ აზრით ვსუნთქავ: დაირღვა შეუფერებელი ტრადიცია, ჩვენი სათეატრო საქმე სწორ გზაზე შედგა. ახლა თქვენს

ეროვნული ბიბლიოთეკა



**გერმანელები ჰაეროპლანებიდან ყუმბარებს სვრიან ქალაქებში.**

მხნეობაზეა დამოკიდებული ჩვენი თეატრის ბედ-იღბალი. გწამდეთ, რომ თავისუფალი, დამოუკიდებელი და ამხანაგური თანამშრომლობა არის თავდები თქვენი გამარჯვებისა. ჩქარა ვიხილავთ ჩვენი ხელოვნების ტაძარს ერის სულის სიძლიერით კვლავ აღდგენილს. თქვენ გამარჯვებულნი ზეიმით შეხვალთ შიგ, რათა დაემკვიდროთ იქ, ვითა კეთილნი ქურუმნი ხელოვნებისა. და მაშინ მეც მოწიწებით მოვალ თქვენთან, ქედს მოვიხრი თქვენი მხნეობის, საქმის და ურთიერთის სიყვარულის წინაშე და გიძღვნით უმდაბლეს სალამს. ..

**ის. ვარაზაშვილი**

# ამაოება

ნუგეში მტირალს?.. ჩემი საცრემლო
დიდი ხანია გადმოილვარა;
დიდი ხანიამ ხსნელი იმედი
სუსხმა დამიზრო, დამისამარა!..

გაქვავდა გული .. აწ აღარა გრძნობს
აღარც სიცივეს, არც სითბოებას
და მეცინება, როცა მიხსნიან
სიცოცხლის აზრს და ამაოებას!..

**გ. ქუჩიშვილი**

# ხომ დავიღუპეთ!?

— რაღა მეშველება, რიღათი ვუპატრონო ობლად დარჩენილ წვრილ შვილს, რაღა ეხლა, მოსავლის შემოტანის დროს დაიწყო ე რაღაც ომია, ვინ გამილეწავს კალოზე მოტანილ პურსა?!. — გული მტკივნეულად მოსთქვამდა დილა-ადრიან წამომდგარი ნატო, რომლის ქმარი — ნესტორი — ომში გაეწვიათ.

მაგრამ ნესტორს სოფლელთადმი სიკეთე ჰქონდა მიძღვნილი და ამის გამო გლეხკაცობას გადაეწყვიტნა, ნესტორის დაობლებულ ოჯახს ბეჯითად მივეშველოთო ..

*
* *

მშვენიერი საკალოობო დღე დადგა...

— ჰაამო, ჰო თფრრ!. -ისმოდა ნატოს კალოზე ხარ-კამეჩის გამალიზიანებელი, შეკრეფილ გლეხ-კაცების, ხმა, რომელიც ნესტორის ცოლ-შვილსაც იმედს უღვიძებდა...

— აბა, ბიჭებო, შემოურბინეთ, შემოურბინეთ.. —გაიძახოდა კევრზე მდგომი ახალგაზრდა გლეხი და თან ხარებს მწყობრად მიერეკებოდა...

მზე გადიხარა ..საღამოს ნიავმა დაჰბერა...

გალეწეს... აანიავეს.. ხვავად დააყენეს...

პური აკრიფეს და სახლის შესავალთან მდგარ ამბარში ჩაყარეს...

სახლებისაკენ მიმავალ გლეხებს ნატო აღურიცხველ მადლობას უხდიდა.

*
* *

ბავშვებს მოშივდათ და დედას ტირილით „ბაბასა“ სთხოვდნენ იმედ მიცემული ნატო მტირალ ბავშვებს ახალ პურსა ჰპირდებოდა...

— ნათლი დედ, ნათლი დედ!..—მოისმა გარედან ხმა გზირისა, რომელიც მამასახლისთანა და „პოპოშნიკთან“ ერთად მოსულიყო და თან პურის მსხვილ მარცვალს ათვალიერებდა

ნატო იმ წამსვე გარედ გამოვიდა... მათ დანახვისას შეკრთა, შეშინდა, ვაი თუ რამე გვაქვს გადასახდელიო?.

— აბა, ჩანახი მოიტა პური ავწყოთ, გვეჩქარება...—განაგრძო გზირმა და თან მამასახლისს შეჰხედა, თითქოს ეუბნება, ხედავ რა ერთგული ვარო ..

— რა პური, გენაცვალე?! -გაოცებით ჰკითხა ნატომ,—ნესტორმა მითხრა, ყველაფერი გადახდილი გვაქვსო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ ჩვენ ტყუილს ვიტყვით?!.-შეჰყვირა მრისხანედ მამასახლისმა

— წინანდელი დარჩენილია, დედაკაცო, წინანდელი,—დაუმატა მადაგახსნილმა გზირმა.

— ელაპარაკებით კიდევაც!—სთქვა „პოპოშიკამ“, შევარდა სახლში, გამოიტანა ჩანახი და ამბრიდან პურის ამოღება დაიწყო...

* * *

..მამასახლისს თანამშრომლებით ნადავლი მიჰქონდა ყველას სახე გაბრწყინებოდა..

აქამდის გაოცებულმა ნატომ ველარ მოითმინა და წყნარედ შესძახა: —თქვე გასაწყვეტნო, უკანასკნელ ლუკმას რომ მტაცებთ, ხომ დაგვღუპეთ!..

მაგრამ მას აღარავინ უსმენდა...

**მიხ. კიაზოშვილი**

# სიმღერა

როგორ გაგშორდე...
თავს ობლად ვგრძნობდე!
მე მსურს ალერსში დღე დავღამო;
მომეც მე ნება შენს მარად ერთგულს,
აწ ეშხით დამთვრალს და შეყვარებულს
გიმზერდე, ვთრთოდე;
შენ ერთს გეტრფოდე
და ერთად ერთი ღმერთად გიწამო.
მე მსურს ალერსში დღე დავღამო.
მოვკვდე შენს ახლოს...
სხვამ ნუ დამმარხოს,
სხვას ნუ ვუსმენდე მოთქმას გულსაკლავს!
კუბოს შემიკრავ ვარდით მოქარგულს,
საფლავთან მოხვალ ყოველ გაზაფხულს,
ვინც უნდა გნახოს,
ვერვინ დაგძრახოს, [ლავს.
როს ცრემლს მოაფრქვევ ჩემს ობოლს საფ-
მხოლოდ ამ ღამეს,
ვგრძნობდე სიამეს,
შენ ცელქი უნდა მკლავებში თრთოდე.
მე ჩაგჩურჩულებ: გული შენ გიმღერს
და თანაგრძნობით ციდ მთვარე გვიმზერს
ვკოცნი შავს თვალებს..
ვიცი მავალებს:
არ გაგეცალო, შენ ერთს გეტრფოდე!

ს. შანშიაშვილი



**მსახიობი ს. პ. სვიმონიძე**
ნაძალადევის სახალხო თეატრის რეჟისორად მიწვევის გამო

# მწვერვალნი

ეტიუდი

ნორჩი ზურმუხტის ბალახი ჯერ ისევ ბანაობდა დილის ცივს ნამში; მთის ზურგი ჯერ ისევ გახვეული იყო თბილად ნისლში, როდესაც ერთს მის ქედს შეუპოვრად ებღაუჰებოდა ვიღაც გულადი ადამიანი. თითქმის ახლო იყო მიზანთან. აღარც სიცივე იყო მისთვის თოვლიან ქედისა; არც შიში უზომო უფსკრულისა, რომელიც ეშლებოდა ცრემლ-მორეულს თვალწინ და ემუქრებოდა სიკვდილით; იგი ამ წამს მხოლოდ იმითი იყო გატაცებული, თუ როგორ მიაღწევდა მთის ზურგის უმაღლეს წერტილს. ავიდა, როგორც იყო, მაგრამ მოსტყუვდა: მის წინაშე აღიმართა ახლა სხვა უფრო მაღალი მწვერვალი...

აგერ მეათე წელიწადია ახალგაზდა მხატვარი მუშაობს თავის სურათებზე, მაგრამ ფერადების შეხამების საიდუმლოება მისთვის ჯერ ისევ რთული ამოცანაა; არც ნათელის და ჩრდილის განაწილებაშია უცოდველი ოსტატი. განვლო ხანმა. სძლია, როგორც იყო, ეს სიძნელენიც, მაგრამ მის ყალამს გადეშალა თვალწინ ახლა ახალი ნაკლი: ნახატის უძრაობა..

გუშინ არ ამბობდა განა მდიდარი მემამულე: ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ იქნება დედა-მიწის ზურგზე, ნავთი რომ აღმოჩნდესო?! დღეს აღმოჩნდა მის მიწაში ნავთი, გეგონება, აღარაფერი აკლია პატრონს სრულ ბედნიერებისათვის. სრულიადაც არა! ნავთი შადრევანივით უნდა სცემდეს, ის კი ხელით ამოსაღებია...

სადაა მაშ მისწრაფებათა მწვერვალნი?

**დავ. კილოსანიძე**

# ივანე მაჩაბელი

## მცირე მოგონება და მისი წერილები ჩემდამი*)

ბევრი დაიწერა და კვლავ დაიწერება ვანო მაჩაბლის წარმოუდგენელი ხვედრის გამო.

იმისი კვალ-წმინდათ დაღუპვა — ეს ისეთი მწვავე ტრაგედიაა ქართული ცხოვრებისა, რომლის ხამები, მართალია, არა ვართ, მაგრამ იგი იმდენათ განსხვავებულია და მძაფრი ხასიათისა, რომ ქართველობა მზგავს მოვლენას იშვიათად მოსწრებია და ვერც შერიგებია მის გაუკვლელობას, საიდუმლოებას.

ვანო მაჩაბელი, ჯერ ახალგაზდა, მაგრამ დიდი კაცი იყო, დიდი ცოდნითა და ნიჭით. დიდი კაცი იყო საზოგადოებისთვის, როგორც მარჯვე მოსაქმე, მჭერმეტყველი მოლაპარაკე და წერის ოსტატი. დიდი კაცი იყო მშობელი ქვეყნისთვის, როგორც მისი მოყვარული, მისთვის თავგანწირული, ბეჯითი, იშვიათი ადამიანი და მუშა.

როგორც წინათ დავწერე ჩვენს ქუთათურ გაზეთში, მე ჩვენებში ძალიან ძვირად შემსწრებივარ ვანოსებრ მარდსა და მარჯვე ჟურნალისტს. პერიოდული პრესისთვის ზედგამოჭრილი სწრაფი მუშა, საუცხოვოდ მცოდნე ქართული ენისა, მსუბუქი, გასაგები საგაზეთო ენისა ... რა გინდ რთული საკითხი უნდა ყოფილიყო, ვანო ათიოდ წამში წერილს დაამზადებდა, რაც მოწმობდა მის ერუდიციას.

და ასე სწრაფად დაწერილს იმის ნაშრომს არაოდეს აჩქარების დაღი არ ემჩნეოდა — ყოველთვის გონივრული, მოსწრებული და საზრიანი იყო იმისი ნაწერი, თითქოს მრავალგზის ნაფიქრი და ხანგავლით ნააზრევი ყოფილიყოს.

და რად ღირებოდა ვანო ჩვენთვის დღეს, დღეს, როცა პერიოდულმა პრესამ მცირედ სული მოითქვა ვითამ, ძველი მუხრუჭი თითქოს ისე აღარ აწუხებს, როგორც მის დროს იყო და საზოგადოება უფრო გულის ყურით თვალს ადევნებს ამ პრესას, ვანოს მარჯვე კალამი დაუფასებელი იქნებოდა ამ დროებით ჩვენთვის ჩვენი პრესისთვის.

მაგრამ ბედისწერამ და ჩვენმა უიღბლობამ აქაც თავი გამოყო და მრავალ ჭირთა ჩვეულთ რაღა დაგვრჩენია — უნდა შევურიგდეთ და დავთმოთ ეგ ძნელად და ძვირათ ასანაზღაურებელი ზარალი. და აკი კიდევაც შევურიგდით, რომ აქამდი არა ვიცით — ცამ აიტაცა, მიწამ ჩაყლაპა, სად და როგორ მოისპო ასეთი საუნჯე, საიმედო ადამიანი...

მცირე ვართ რიცხვით ქართველები, ცოტა გვყავს რჩეულნი და მით უფრო საკვნესარია და სავალალო ჩვენთვის რჩეულთა დათმობა და ისიც კიდევ ასეთი გარემოებით.

როგორც ჩვენი მწერლობის ერთი მცირე მუშაკი, მე უმეტეს მწვავედ ვგრძნობ ამავე ასპარეზის დიდი მუშის დაღუპვას და სანამ ვიცოცხლებ, ვერც დავივიწყებ იმ მოკლე ხანას, როცა ივანე მაჩაბლის ხელმძღვანელობით „დროების“ რედაქციაში ვშრომობდი.

მოკლე ხანს მარგუნა იღბალმა ჩემს ძმა სერგეისთან მუშაობაც. და თუ მწარე გულის კვნესით მოვიგონებ იმ დროს, ამის შემდგომი ხანაც, იმგვარივე მოკლე და მცირეც ამაკვნესებს ხოლმე, ვინაიდან სერგეის ნაჭირნახულევს საქმეს, მართლაც რომ ღირსეული მემკვიდრე გაუჩნდა ვანო მაჩაბლის სახით.

მწარე გლოვის შემდეგ სერგეის საუკუნო განსასვენებელთან ახლოს ვცხოვრობდი სოფ. რიონში და აქ მომივიდა ცნობა, რომ ვანო მაჩაბელს სურდა ჩემი მიწვევა „დროების“ რედაქციაში.

მე დიდის ხალისით მივიღე ეს წინადადება. სერგეიმ შემაყვარა სარედაქციო შრომა. ვანოს ადრეც ვიცნობდი და მასთან მუშაობასაც ვესწრაფოდი. მოწოდებაზე პასუხი დეპეშით შევუთვალე ვანოს და, აი, პირველი წერილიც იმისი — 1884 წ. ოკტომბრის 6.

ა

ძმაო დათიკო.

უკაცრაოდ, რომ ტელეგრამაზე პასუხს ცოტა გიგვიანებ. აი, საქმე როგორ არის: მე ჯამაგირის ძლევა (30 მან. თვეში) მხოლოდ ნოემბრის პირველიდან შემიძლიან, რადგან ამ დრომდე ძველი კორექტორი რჩება. საქმე შემდეგი გექნება: სადილის უკან პირველი კორექტურის დაჭერა (მეორედ მე ვასწორებ), და დილით უეჭველად რედაქციაში ყოფნა სამი

*) ივანე მაჩაბლის წერილების დედნები დროებით რედაქციაში ინახება სათეატრო მუზეუმისთვის.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საათის განმავლობაში—10 საათიდან 1 საათამდე, როდესაც შეგეძლება წვრილ-წვრილი ამბების თარგმნა გაზეთებიდან და თუ გატყვრა ხოლმე საიდამ ხელის მოწერა, ან განცხადება, ამის მიღება. მე იმედი მაქვს, თუმცა სრულიად ვერ დაგაიმედებ, რომ სხვა სამუშაოსაც გიშოვნი შემდეგში და ასე მცირე ულუფაზედ არ დადგები.—მაშ ვახსენოთ ღმერთი გამოართვი ჩემ მაგიერათ სამგზავრო ფული 10 მანეთი იყოს, თუ 15, ან 20 ჭილაძეს*) ამ წიგნის ჩვენების შემდეგ და გამოემგზავრე ამ თვის გასულს. მალე შემატყობინე, თუ ამ პირობებს არ უარჰყოფ. თუ ჭილაძემ უარი გითხრა რედაქციის ანგარიშის მოცემაზე, მომწერე კიდევ ორი სიტყვით და მაშინვე გამოგიგზავნი.

**ი. მაჩაბელი**

*ქვემოთ მეორე, მოკლე წერილიდან ჩანს, რომ მე სამი თუმანი მცირე ჯამაგირათ დამინახავს, მომატებაც მითხოვია და ბინაც. აი, რასა მწერს ვანო:*

**ბ**

ძმაო დათიკო. გრ. ყიფშიძეს**) დავაკლებინე ხუთი მანათი თვეში, მეც გავიქექე ჯიბე, მიუმატე ხუთი მანათი და როგორც იყო შეგისრულე ოთხი თუმანი, თუმცა რედაქციაში სადგომი არ გექნება; ეხლა რედაქცია ცოტა კაი ადგილზედ გვაქვს***) და ვიწროთ ვართ. ერთი სიტყვით, შენი „ავლა დიდება“ ოთხი თუმანი იქნება თვეში და იმედი სხვა სამუ'შაოსიც. რაც შეეხება რედაქციის შეძლებას, ამაზედ აქ ვილაპარაკებთ და გაგაცნობ კიდეც ჩემს მდგომარეობას, როგორც დაახლოვებულს წევრს რედაქციისას. მანამდის კი ნახვამდის. გელი უეჭველად.

**შენი ვანო მაჩაბელი.**

*ამ წერილს შემდეგ მე თბილისში გადავედი. ქვემო წერილს ქუთაისში მწერდა, სადაც დროებით წავედი.*

**გ**

ძმაო დათიკო.

ჭყონიას ****) წერილი მივწერე და ვაცნობე, რომ საჭირო არ არის, ვინმემ იკისროს ფელეტონის ავტორობა, მე თითონ ვიკისრებ. მაშასადამე ოზურგეთში წასვლა საჭირო არ არის. ოზურგეთში წასვლა კი საჭირო არ არის, მაგრამ ის კი შემატყობინე, როდის შეგეძლება აქ მოსვლა. მე აქ ვერავინ ვიშოვე, რომ ეშრომა და ფულზედაც ძალიან კოტრობაა, ასერომ საქმე სულ მე დამაწვა კისერზედ თითქმის. კორექტურის გასწორება კი არ მაწუხებს, რადგან ამის იქით გადავწყვიტე კორექტურა მე თითონ ვასწორო. შრომა ერთია პირველი და მეორე კორექტურის გასწორებაზე და ამწყობებიც ძალიან დახელოვნდნენ. მაგრამ კაცი არ არის, რომ რედაქციაში იყოს ხოლმე დილით, როცა მე იქ არა ვარ.

ამას გარდა აცნობე ჭილაძეს, რომ რაც მერგება ფული, გამომიგზავნოს უეჭველად. ორი თვეა მოვწერე და არაფერს მატყობინებს. ფული მჭირდება, რადგან ამწყობები მაწუხებენ და შემოსავალი კი ამ სამ თვეს არა იქნება რა.

**ი. მაჩაბელი**

**დ**

ძმაო დათიკო, აუცილებლად საჭიროა, რომ რაც შეიძლება მალე ჩამოხვიდე თბილისში. რამწამს ეს წერილი მოგივ ეს, მაშინვე გამოსწიე თბილისისკენ. მინდა რომ კვირამდის აქ იყო, ან ორშაბათისთვის, რადგან სამშაბათს სხვაგან მივდივარ ორის კვირით, ან ათი დღით. მაშ გელი.

**ვანო**

**ე**

დათიკო.

იმ დღეს რომ ფელეტონში შეცდომა მოსვლოდათ სტამპაში, გაასწორებინე, თორემ უაზრო გამოდის. ამას გარდა, თუ არ გადმოგიბეჭდიათ, გადმობეჭდეთ ნოვოე ობოზრენიედან, რომ ივანე მუხრან ბატონი გუბერნიის მარშლად დაუმტკიცებია ხელმწიფესთქო.

ორს ამბავს გიგზავნი შინ. ხრონიკისთვის. ხვალ ან ზეგ მოწინავე წერილს გამოვგზავნი.

**ვ**

*„დროების“ აკრძალვის შემდეგ.*

ძმაო დათიკო.

შენს წიგნზედ ცოტა პასუხი დაგიგვიანე. ჩემი ბრალი არ არის. მართლაც და შენს წერილს საიმედო პასუხი ეკადრებოდა. და იმედის მოუცემლობას სულ მოუწერლობა სჯობს. ახლაც იმედს ვერას გაძლევ, მაგრამ ვიფიქრე, ვაი თუ უპასუხობა სხვაფრივ ჩამომართვას და დავიწყება მისაყვედუროს მეთქი. კარგად იცი, ძმაო დათიკო, რომ მე მაგისთანა გული არა მაქვს და რომ შესაძლებელი ყოფილიყო, აქამდისაც ვეცდებოდი რამე ადგილის შოვნას, მაგრამ ესეც იცი, რა ძნელია ამ დაწყევლილი ადგილების შოვნა და მეტადრე იმისთანასი, რომელიც მუდამ მშიერი კუჭით მაინც არ გატარებდეს. რაც შეეხება ჩემსა და დიასამიძის ვალებს, შენგან არ მიკვირს, რაებს იწერები. ან მე და ან დიასამიძე თავის დღეში როგორ ვიფიქრებთ, რომ გისაყვედუროთ რამე. როცა კაცს ზღვა აღრჩობს, წყაროზე ფიქრი ამაო არ იქნება. როცა რვაას-ცხრაასი თუმანი დამედო, შენი რამდენიმე მანათი რაღა სახსენებელია, მერე იმისთანა მანათები, რომელიც აუცილებელმა გაჭირვებამ აგაღებინა. შენ კარგად იცი, რომ შენს შრომას ყოველთვის მეტად ვაფასებდი და თუ მეტის მოცემა არ შემეძლო, ეს მხოლოდ რედაქციის ხელმოკლეობით მომდიოდა.

*) ვარლამ ჭილაძე—წიგნის მაღაზია ჰქონდა ქუთაისში და გაზეთებსაც ყიდდა.

**) რედაქციაში მუშაობდა.

***) სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლებში.

****) ილ. ჭყონია, რომელმაც ოზურგეთის, მგონი, მაზრის უფროსზე ფელეტონი დასწერა და იმანაც უჩივლა.

გუშინ ლაგიაშვილის საქმე გადაწყვიტეს, ოცი წლის კატორღა დაუნიშნეს, ბევრნი ჩამოხრჩობასა ცდილობდენ. პროკურორმა ძალიან პატიოსანი სიტყვა წარმოსთქვა, ადვოკატი უფერული იყო. სხვას ვერაფერს მოგწერ, დაწვრილებით ამბის შეტყობისათვის გამამტყუნებელი ოქმი წაიკითხეთ.

იჟერები, დათიკო, შენც დამპირდი რამეო. არას დაგპირდები, მაგრამ იქნება ამ დაუპირებლობამ უფრო გასჭრას.

**შენი ვანო მაჩაბელი**

**ზ**

ძმაო დათიკო. ცოტა დაგიგვიანე შენის წერილის პასუხი. დაგიგვიანე იმისთვის, რომ ველოდი „რუსთველის"* წარმოდგენას. მეშინოდა, ვაი თუ წაკითხვამ შემაცდინა და სცენაზე კი არა გამოვიდეს რა მეთქი.—მე სწორე გითხრა ხშირად მეშლება ეს ორი საგანი და მშვენიერი სასცენო პიესა, ვიდრე სცენაზე არა ვნახავ, უხეირო მგონია. „რუსთაველის" შესახებ კი არ მოვტყუვდი. კოტემ წაგვიკითხა და მოგვეწონა ძიდეც, მაგრამ არ მეგონა კი ისე მოსაწონი იქნებოდა საზოგადოებისათვის. რეცენზიებს წაიკითხავდი, მაგრამ ჩვენი რეცენზენტები ცოტა საბაკევიჩობენ, როცა პიესის ღირსებაზედ მიდგება საქმე, ან კარგს არას ამჩნევენ, ან ისე ცალყბად იტყვიან ხოლმე, თუმცა ესა და ეს ნაკლულევანება ჰქონდა, მაინც პიესა დიდ განძს შეადგენს ჩვენის ღარიბის რეპერტუარისთვისო და სხვ. და სხვ. არც ერთმა რეცენზენტმა არ მიაქცია ყურადღება ორს შესანიშნავს საგანს: ერთი ესა, რომ მთელი პიესის განმავლობაში არც ერთხელ ხალხს არ გაუცინია—პიესაში არა იყო რა სასაცილო და მაინც კიდევ ყელთამდე სავსე თეატრმა დიდის ყურადღებით და ასე გასინჯე მოწიწებითაც კი მოისმინა მთელი პიესა. მაშასადამე ჩვენი საზოგადოება მარტო სასაცილოს არ ეტანება და ესეთი ყურადღება საზოგადოების ცოტას რასმე მაინცა ნიშნავს—ალბად ნაკლულევანების გარდა მართლა ღირსებაცა აქვს რამე. მესამეც ესა—პიესას, კოტეს გარდა სულ მეორე ხარისხის არტისტები თამაშობდენ და კარგმა რეჟისორობამ ეს მეორე ხარისხოვნები პირველს პლანზე წამოაყენა. ესეც კიდევ იმის საბუთია, რომ ჩვენი თეატრი წინ წავა და ხალხში ფესვს გაიდგამს, თუ რიგიანი მოთავე ეყოლება და „რუსთველის" მზგავსს პიესებს ხშირად მოვესწრებით.

ტყუილად ბოდიშობ „ოტელოს" შესახებ. თუ შეამჩნიე, „ივერიის" რეცენზიას, მარტო შენ არ დაგიწუნეს თარგმანი, იქ ამბობდენ—თარგმანი მოითოხარიკებდაო (!!) განსაკუთრებით სამი უკანასკნელი მოქმედებაო. მაშასადამე პირველი ორი მოქმედებაც მოითოხარიკებდა, მაგრამ ნაკლებად და პირველი ორი მოქმედება ხომ ჩემი იყო. რა გაეწყობა, ღმერთმა ქმნას „ივერიას" უკეთ დაეწეროს და უკეთესად ეთარგმნოს და ჩვენც ღმერთს მადლობა შევისწიროთ, ან რა გასაკვირველია, მჯობის მჯობი არ დაილევა.

**შენი ვანო**

ამ წერილში ნახსენები „ოტელოსა" თარგმანის ამბავი ასე მოხდა. ჩემმა ძმამ კოტემ ქუთაისში განიზრახა „ოტელოს" წარმოდგენა. იმ დროს ქუთაისში კოტე რეჟისორობდა დასს; შეუთვალა ვანოს, რომელმაც მოსწერა, ოტელოსია ჯერ-ჯერობით ორი მოქმედება მაქვს მზათაო და ამ ხანად არც დრო მაქვს, რომ დავამთავროო. მაშინ კოტემ მე მთხოვა და სამი მოქმედება ჩემი ნათარგმნით წარმოადგინეს. ორი პირველი კი ვანოსაგან მოუვიდა. სწორედ „ივერიის" რეცენზიამ გამოიწვია ჩემი ბოდიშიც ვანოს წინაშე. უეჭველ შემთხვევაში, თუ მოითოხარიკებდა—ეგ ჩემი ნათარგმნი, რამაც ვანოს თარგმანიც ზედ მიიტანა...

ეს შვიდი წერილი ამოვარჩიე ვანოსი ჩემს ქაღალდებში. იყო სხვაც, მაგრამ საუბედუროდ ვეღარ მივაკვლიე.



*) ჩემის ძმის კოტეს პიესა.

# ხალხური შემოქმედება

## ბავშვის ალერსი

(გაგონილი სოფ. ახალ ქალაქში მაგდანა ხუციშვილისაგან, ჩაწერილი ანეტა კაპანაძის მიერ)

მინდა ნინო შევაქო,
ბროლისებრო;
თვალ-ტანად დახატული,
ლერწამი ზღვისებრო.
ზემოდ რომ თმანი ასხია,
ყორნის შავი ტყისებრო;
მას ქვემოდ ერთი შუბლი აქვს,
ნამტკიცი ქაღალდისებრო,
მასზე რომ წარბი ასხია,
გველეშაპ ნაწოლისებრო,

მას ქვევით ერთი ცხვირი აქვს,
ჩამოსხმულ წუმწუმასებრო,
მასზე რომ თვალნი უკორავს,
მინდორში მაყვალისებრო;
აქეთ-იქეთ ლოყებო,
წითელო ყაყაჩოსებრო;
ყურნო იჩიბად ნაჭედნო,
კბილები ალმასისებრო;
ზემო და ქვემო ტუჩებო,
მიტყუპულ მარჯანისებრო;

მას ქვევით ერთო ნიკაპო,
სურვილით ამოკიკნაპო;
კლავნო რკინისა კეტებო,
თითებო მათრახისებრო.
გულო გულისა ფიცარო,
გათლილო ხუროსაებრო;
მას ქვემოდ ერთი ჭიპი გაქვს,
ზეცაში ვარსკვლავისებრო,
მას ქვევით წელი გამოდის
სასმელად შერბათისებრო...

# ომში დაჭრილნი

## ჯარის კაცნი





მოხალისე ივ. კობალაძე სიმონ ცაგარელი გიორგი ჟივიძე

# სინათლე

## ნაწილი მეორე

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 36, 37, 38)

### სურათი მეოთხე

ავთანდილის დარბაზი. **ორი კარის კაცი**

**პირ. კ. რ. კაცი.** მეფე ძალიან განრისხებულია... მდევარი ხელცარიელი დაბრუნებულა...

**მეორ. კარ. კ.** ხელცარიელი და უყურე ახლა სეირს!.. არა ერთი თავი მოშორდება კისერს... ფუი ამისთანა ცხოვრებას... დილით ილვიძებ და კისერს იშინჯავ — მაგრა გაბია თავი თუ არა. დასაძინებლად სწვები და ფიქრობ, ხვალ ღამაც ლოგინში მოისვენებ, თუ სადმე ხის ტოტზე ეკიდები...

**პირ კარ. კ.** ალბად ახლა რაზმის უფროსს დაიბარებს...

**მეორ. კარ.** კ. დაბარებულია, ე მანდ სენაკში დარაჯებსა ჰყავთ. ახალი რაზმი გაუგზავნია მეფეს და უბრძანებია: ან ის ბალღი და ქალი მომგვარეთო, ან და ცოცხალი ნუ დაბრუნდებითო... ის ვიღაც გლახაკიც ჩვენ საუბედუროდ გაჩნდა... მარტო იმას ლა უჯერებს და უსმენს მეფე... ის არის მისი მრჩეველი და მესაიდუმლე..

**პირვ. კარ. კაცი.** გახსოვს რა დრო იყო? . ლხინი, სიამოვნება... ლაშქარი, ბრწყინვალე გამარჯვებანი... სასახლე მუდამ ხალხით სავსე .. ახლა კი სულ კარ-ჩაკეტილში ვართ... მეფე სასახლიდან ფეხს არ იცვლის... ქვეყანას შემოსწყრა... არავინ დაიარება, არავისთან მიდის... მუდამ შიში, იჭვიანობა... ჯალათების ხანა დადგა; ამათ მუშაობა ყოველთვის აქვთ.. ისეთს პატივში არიან, რომ შენი მოწონებული... (გამოდიან ავთანდილი და ქაჯთა მეფე, გლახაკად ჩაცმული)

**ავთ.** შემოიყვანეთ პირველი რაზმის უფროსი. (პირველი კარის კაცი გავა)

**ქაჯ. მეფე.** მეშინის, დიდებულო მეფე, რომ ვერც ის ახლად გაგზავნილი რაზმი გახდება რაიმეს... არ დამიჯერე, მოგახსენებდი, ჩემს კაცს გავატანდი და ის ბალღი და ქალი ახლა აქ გეყოლებოდნენ.. მაგ გლეხი ჯაშუშისა კი, სწორედ მოგახსენო, არა მჯერა რა... გლეხი — გლეხია... ფულით შესყიდული მოღალატე სანდო არ არის...

**ავთ.** მთელს ქვეყანას გავანადგურებ, ერთს ცოცხალს არ დავარჩენ და იმ ქალს და ბალღს ხელთ ჩავიგდებ. (მეორე კარის კაცს) ჯაშუშიც აქ შემომიყვანეთ. (მეორე კარის კაცი გავა) როგორაო, იმ ბალღზე რას ამბობენ ხალხში?..

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ვას. ნიკ. ჯანელიძე**
გიმნაზიელი მე-3-ე კლ. მოწაფე. შანტაჟისტებმა გაიტაცეს ქუთაისიდან 26 ოქტ. მოჰკლეს 4 ნოემ.



**ვანო ბარველი**
(ქიათურის დასის რეჟისორი)
...ვაჰ, რა უდროვოდ ჩამი ვარდა კოვზი ნაცარში?!

**ქ ჯ. მეფე.** ხალხში რწმენაა, რომ ოქროს შანდალს ის დაიხსნის, ვინც სინათლის ქვეყნიდან მოვაო.. ხალხი დარწმუნებულია, რომ ეგ ბალღი მიაღწევს სინათლის ქვეყანას და იგი იქნება მთელი ხალხის მხსნელი..

**ავთ.** მერე რკინის კოშკი?.. ვინ შესძლებს იქ შესვლას?..

**ქ. ჯ. მეფე.** ღალატს ვერც რკინა და ვერც ფოლადი გაუძლებს, იგი ნელ ნელა ღრღნის და როგორც ჟანგი სჭამს რკინასაც კი... შენ თავად იცი სინათლის ქვეყნის ძალა... შენ თავად იცნობდი ფერიებს!.

**ავთ** სუ! კრინტი, ხმა! არ გამაგონო, თორემ ლამის ბრაზისაგან ჭკვაზე შევირყე... ღალატს კი მაინც მოუვლი! (შემოჰყავთ პირველი რაზმის უფროსი შეჯაჭვილი და ჯაშუში. ორივენი მუხლებზე დაემხობიან)

**ავთ.** (რაზმის უფროსს მითხარ, რამ გამოგაცალა ტვინი?.. შე ლაჩარო, მხდალო!.. სულ უბრალო საქმე ვერ აღმისრულე.. ფეხშიშველა გლახებსაც კი ვერ დაეწიე... უსუსურს ბავშვს და ქალს ვერ მოერიე.., გამოყრუებულმა მოხუცმა გზა და კვალი აგიბნია?..

**პირ. რაზ. უფრ.** მაპატიე დიდებულო! გზა აგვერია, დავგვიანდით... წისქვილთან რომ მოვედით, იქ აღარავინ დაგვხდა, ბევრი ვიხეტიალეთ.. თითქოს დედამიწამ შთანთქა ის ავაზაკები.. მთელი რაზმიდან მარტო სამი გადავრჩით... ყველანი დაიხოცნენ...

**ავთ.** გაათრიეთ აქედან, უმალ გაისტუმრეთ იმ დახოცილებთან, იქნებ საიქიოს უფრო კარგად უხელმძღვანელოს თავისავით უხეირო რაზმს. (გაიყვანენ. მიუახლოვდება ჯაშუშს) რატომ ასე კანკალებ? თუ გცივა?.. გაგათბობ... რა ცივი ხელები გაქვს. აბა ამას ოქრო უყვარს.. გაადნეთ ოქრო და ჩაუყავით ხელები.. ხელებსაც გაითბობს და ოქროს მზერითაც დასტკბება... და ექიროს ხელი ოქროში, ვიდრე სიმართლეს არ იტყვის... თუ მაგანაც ვერ გასჭრა, შიგ ყანყრატოში ჩაასხით ოქრო..

**ჯაშუში** (დაემხობა) დიდებულო მეფე, ერთგულად გემსახურებოდი, სიცოცხლეს არა ვზოგავდი... შემიბრალე.. კიდევ გამოგადგები... (შემოდის კარის კაცი)

**კარ. კ.** დიდებულო მეფე! მეორედ გაგზავნილი რაზმი დაბრუნდა... ეს არის ეზოში შემოვიდნენ... თვალი მოვკარ თან მოხუცი და ქალი მოჰყავთ..

**ავთ.** ბალღი, ბალღი?.

**კარ. კ.** ბალღი კი არ დამინახავს.. (შემოდიან მეორე რაზმის უფროსი, მხედარნი, თან მოჰყავთ საბედო და მეწისქვილე, საბედო თმა გაწეწილი, ხელში დაფლეთილი მუთაქა უჭირავს და მას უალერსებს, თითქოს ბავშვიაო)

**მეორ. რაზ. უფრ.** სალამი და დღეგრძელობა დიდებულ მეფეს! აი, ქვეყნის მზეო, ესენი ჩავიგდეთ ხელში... ბალღი კი აღარ დაგვხვდა... ვერას გავხდით... ქალი ჭკვაზე შერყეულია, ბებერიც რაღაცას უცნაურს ბოდავს...

**ავთ.** აქ მოდი, ლამაზო, ჩემთან ახლოს... ეს მუთაქა რაღა არის?

**მეორე რაზ უფრ.** ვერას გზით ვერ წავართვით.. მუდამ თან დააქვს.. ბალღი ჰგონია...

**ავთ.** (მიუახლოვდება საბედოს) რა გქვიან ლამაზო?..

**საბედო.** სუ-უ.. დაიცა, ანგელოზები მღერიან. (მღერის და ასწევს მუთაქას)

იავ ნანა, ვარდო ნანა
იავ ნანინაო... და სხვა

რა ტკბილად გძინავს, ჩემო არსენა!.. (ავთანდილს) იქით, იქით... არ დაგანებებ.. ჩვენია, ჩვენია!.. ხა, ხა, ხა!..

**ავთ.** გაიყვანეთ... ჩააგდეთ საპყრობილეში... (გაჰყავთ მეწისქვილეს) შენა, ბებრუხანა, აბა მითხარი: ბალღი სადღაა?..

**მეწისქ.** შორს, შორს!..

**ავთ.** სთქვი მეთქი.. მაგ ლათაიებით და მასხრობით ვერას გახდები.. რა უყავ ბალღი...

**მეწისქ** წავიდა...

**ავთ.** სად?..

**მეწისქ.** სადაც საჭირო იყო!..

**ავთ.** ბებერო! ნუ მაბრაზებ... თორემ მაგ ძაღლის ენას აქვე ამოგაგლიჯამ... სად წაიყვანეს ბალღი?..

**მეწისქ** მუქარა ნუ იქნება.. ვერ შემაშინებ.. ძარღვი ჩემი გაშეშებულია, ხორცი დადუმებული... გინდა გასჭერი, გინდა დასწვი,—ტკივილს ვერ ვიგრძნობ.. ჩემი სული დიდი ხანია მწყრალად არის ჩემს სხეულთან, თუ კი ერთმანეთს დააშორებ — მადლობას შემოგწირავ და დაგლოცავ... ნუ მკითხავ, ბალღი სად წავიდა.. არ გიამება...

**ავთ.** სთქვი, თორემ მოთმინება მეკარგება...

**მეწისქ** ხავს მოკიდებულმა მეხამ მიჩურჩულა, რომ ბალღი წავიდა იქ, სადაც ოდესმე შენც იყავი...

**ავთ.** სთქვი, ჩქარა... თორემ...

**მეწისქ.** და დაბრუნდება ისე, როგორც შენ დაბრუნდი, მაგრამ გახდება ისეთი, როგორიც შენ აღარა ხარ...

**ავთ.** (მივარდება, ანჯღრევს) ბებერო, შენ რაღაც იცი... სთქვი ყოველისფერი, თორემ ვფიცავ.. სად არის ბალღი?.. ჩქარა!...

**მეწისქ.** იქ, სადაც თავისუფლება, ძმობა და თანასწორობა მეფობს... იქ, სადაც მუდამ სინათლე სუფევს.. სადაც არ არის შფოთი და ომი, ძალმომრეობა და უსამართლობა..

**ავთ** (შეჰყვირებს) გაჩუმდი, გაჩუმდი!..

**მეწისქ.** ასე გვიამბობდა ჭაბუკი შვილი მეფისა ავთანდილი..

**ავთ.** გაათრიეთ, გაათრიეთ... ნაკუწნაკუწ აქციეთ და მაგისდამპალი ლეშით ძაღლები გაძღეთ... (გაჰყავთ) კიდეც რომ დამცინის.. რა, არა... მაინც ჩავიგდებ ხელში... უბრძანეთ გააძლიერონ დარაჯნი რკინის კოშკთან... კიდევ შემოაკრან ფოლადის სალტეები. (კარის კაცი გავა)

**ქაჯ. მეფე** ნება მომეცი დიდებულო, გემსახურო... რკინის კოშკთან ჩემს დარაჯებს დავაყენებ... სანდო და გულადნი არიან... ვერვინ შეაცდენს...

**ავთ.** შენ სად იშოვნი მეომრებს..

**ქაჯ. მეფე** შენ ოღონდ სთქვი, დასთანხმდი და ისეთს დარაჯებს გიშოვი, რომ ისრის სასროლზედაც ვერავინ მიეკაროს...

**ავთ.** ხუმრობ, თუ როგორაა საქმე?.. შენ გლახაკმა სად უნდა იშოვო მეომრები?..

**ქაჯ. მეფე** აი, გიჩვენებ ჩემს მეომრებს და თუ მოგეწონებიან, დავიბარებ... (ტაშს შემოჰკრავს. დაბნელდება. საზარელი მუსიკა. უკანა კედელი გაირღვევა და ბურუსში გამოჩნდება ქაჯთა მეფის მეომართა რაზმი, საზარელი მხეცებივით მეომარნი საშინელ სანახაობას წარმოადგენენ. ჭექა-ქუხილი. სანახაობა გაქრება. კედელი ისევ გამთელდება)

**ავთ.** საშინელებაა!.. ეგენი კი მართლადაც გამოდგებიან.. დაიბარე, დაიბარე!..

**ქაჯ. მეფე.** კეთილი და პატიოსანი!.. წავალ შენს ბრძანებას აღვასრულებ.. (ავთანდილი თავ-ჩაღუნული სდგას)

ფარდა

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



# კომპოზ. კ. ფოცხვერაშვილის სასულიერო კონცერტი

(23 გიორგობისთვეს)

ვიდრე თვით კონცერტზე გადავიდოდეთ, არ შეგვიძლიან მხარი აუქციოთ იმ საშინელ განცდას, რომელიც გამოიარა ბ. ფოცხვერაშვილმა ამ კონცერტის გამართვისათვის. ყველასათვის ცხადია, რომ იდეა თბილისში სასულიერო კონცერტის გამართვისა (ამ ჟამად) ეკუთნოდა ბ. ფოცხვერაშვილს; მაგრამ როდესაც კომპოზიტორმა უკვე ნება და კურთხევა მიიღო ყოვლად უსამღვდელოეს საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს ექსარხოს პიტირიმისაგან და საქმეს უნდა შესდგომოდა, მაშინ რაღაცა გარეშე ძალთა წყალობით, ფოცხვერაშვილს, ანუ უკეთ მის კონცერტს მოახვიეს რუსული სასულიერო კონცერტი, სულ სხვა დანიშნულებით, ვიდრე ეს განზრახული ჰქონდა ბ ფოცხვერაშვილს, და რუსულ-ქართულ განყოფილებას დაუმატეს პატრიოტული განყოფილება. .

ჩვენ, რასაკვირველია, არც რუსულ სასულიერო კონცერტის წინააღმდეგ გვეთქმის რამე და არც პატრიოტულ განყოფილებისა, ჩვენ მხოლოდ იმას ვაქცევთ ყურადღებას, რომ სასულიერო მთავრობამ თით ქმის ვერაგულად ისარგებლა ბ. ფოცხვერაშვილის იდეით, თვით გამართა დიდი სასულიერო კონცერტი და ამ იდეის შემქნელს-კი დაუთმო მარტო ოთხი ნომერი. .

ეს ერთი.

მეორე. ვიტყვით რა ბოლოს იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ საეკლესიო კონცერტს ქართულ მუსიკა-გალობის ისტორიისათვის და აღორძინება-განვითარებისათვის, ახლა არ შეგვიძლიან უყურადღებოდ დავტოვოთ ის ბოროტი გულციობა, რომლითაც შეხვედრიან კომპოზიტორს ზოგიერთი ქართული დაწესებულებანი.

კომპოზიტორს არ ჰქონია ადგილი მომღერალთა გუნდის გასაწვრთნელად, რისთვისაც მიუმართავს ქართულ გიმნაზიის დირექტორისათვის, რომ ერთი ოთახი დაეთმო საღამოობით, მაგრამ ცივი უარი მიუღია „უადგილობისა“ გამო. მერე მიუმართნია „ახალი კლუბისათვის,“ მაგრამ იქაც მამასახლისთა საბჭოს უარი უთქვამს.

მხოლოდ სომხის საზოგადოება გამოდგარა სულგრძელი და თავაზიანი, რომ ბ. ფოცხვერაშვილისათვის დაუთმია უსასყიდლოდ დიდის ვადით „არტისტ. საზოგადოების“ დიდი საკონცერტო დარბაზი, სადაც გუნდი მომზადებულა.

ასე რომ ჩვენ დიდი მადლობა უნდა გადაუხადოთ „არტ. საზოგადოებას“ იმ საუკეთესო და შესანიშნავი კონცერტისათვის, რომელიც კომპოზიტორმა მოგვასმენინა თბილისის სასახლეში.

არ შეიძლება ერთ გარემოებასაც არ მივაქციოთ ყურადღება. ბ. ფოცხვერაშვილი შეჰკითხებია ქართულ გიმნაზიის დირექტორს, თუ როგორ მოექცეს გიმნაზიის იმ მოწაფეთა წრეს, რომელიც რეპეტიციებზე დაიარება და სურს კონცერტში მონაწილეობა მიიღოს,—მიიღოს თუ არა გუნდში, რაზედაც ბ. დირექტორს ცივი უარი უთქვამს იმ მიზეზით, რომ მოწაფეებს კონცერტისათვის არა სცალიანთო.

ეპარქიალურ სასწავლებლის მოსწავლეთ და სემინარიელთ სცალიანთ, მათ ექსარხოსი ნებასა რთავს კონცერტში მონაწილეობა მიიღონ, თვით ეს სასულიერო კონცერტიც ექსარხოსისგან ნებადართულია, ქართულ გიმნაზიის დირექტორი-კი უარს ეუბნება ისმა მოწაფეებმა მონაწილეობა მიიღონ ამ საეროვნო საქმეში. ნეტა ვიცოდეთ, რა საქმეში არიან გართულნი ქართულ გიმნაზიის მოწაფენი?

მე პირადად დიდს ბოდიშს ვიხდი ქართულ გიმნაზიის დირექტორის წინაშე, აგრედვე „ახალი კლუბის“ მამასახლისთა საბჭოს წინაშე, მაგრამ მე მალაპარაკებს მხოლოდ უკიდურესი მიუდგომლობა და მწვავე სურვილი, რომ შემდეგში ამისთანა სამწუხარო მაგალითი არ განმეორდეს, რომ თუ ჩვენ თითონ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლიან, სხვას მაინც შეუწყოთ ხელი და ნუ დაუშლით მას დიდის საქმის შექმნას.—

და რომ ბ. ფოცხვერაშვილის საკონცერტო ნიმუში დიდი საეროვნო საქმეა და არა ვიწრო ეკლესიური, ამას შემდეგ ნომერში დავინახავთ

გ. საყვარელიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედის მკვლელი

(მოთხრობა)

(გაგრძელება.—იხ. „თ. და ც.“ № 27)

პავლე შეშის მოვაჭრე იყო. ის ყიდულობდა ტყეს, შეშას სჭრიდა, ამუშავებდა ზაფხულობით, საჟენებად სდგამდა და მერე შემოდგომაზე სოფელსა და ქალაქში გამხმარ დამორილ შეშას ურმობრივ ან საჟენობით ჰყიდდა. მთელ თავის სიცოცხლეში ასე ვაჭრობდა და კარგადაც ცხოვრობდა სოფლის პირობაზე. სოფრომმა პავლეს სთხოვა შეამხანაგება საყიდელ ტყეში და ესინჯა იქნებ რამეს გამორჩენილიყო ამ საქმეში. პავლემ კარგად იცოდა სოფრომას შრომის მოყვარეობა და ამხანაგობაზე დაჰყაბულდა იმ პირობით, რომ ტყის საყიდლად ერთი ხუთი თუმანი ეშოვნა. სოფრომასთვის ხუთი თუმანი ძნელი საშოვარი იყო, მაგრამ რომ გაიგეს პავლესთან დაუწყია მუშაობა, ერთმა სოფლელმა გლეხმა ხელი გაუმართა მას და ხუთ თუმანში ათ-თუმნიანი თამასუქი ჩამოართვა, იმ პირობით, რომ „პირველ შეშის გაყიდვისთანავე მე უნდა გამისტუმროო“. სოფრომამაც სიხარულით მიიღო ფული და ფულის მსესხებელს აღუთქვა, რომ ზამთრის დაწყებამდი გაისტუმრებდა. სოფრომმა ერთი თვეს იმუშავა ტყეში და იმას ჰფიქრობდა მთიდან შეშა რითი გავიტანო, სად ვიშოვო ხარებიო, რადგან მას არ ყავდა, მაგრამ, სანამ იქამდის მიიყვანდა საქმეს და შეშა მთიდან ჩამოსატანი იქნებოდა, მანამდის ჯერ ბევრი უკლდა და ისიც თავს აიმედებდა: „კიდო ვიშოვნი სადმე ხარების საყიდელ ფულსაო და თუ ტყე ბევრს არას დამიტოვებს, ხარები ხომ შემრჩებაო“. ამ ოცნებაში იყო სოფრომა, რომ ერთ მოჭრილ ხეს ქვეშ მოჰყვა და თუმცა ხე არ იყო დიდი, მაგრამ მაინც საკმაოდ გაილახა. სოფრომმა იმ დღიდან ორ თვეს იავადმყოფა და მერე აღარ გაკარებია მთას სამუშაოდ. პავლემ თავის ხუთი თუმანი სოფრომას ისევ უკან დაუბრუნა და რამდენიმე ფულიც მისცა მუშაობის. სოფრომმა აღებული ვალი გადაიხადა თავის სარგებლით და ეხლა ყანების საზიაროდ აღება დაიწყო. მაგრამ, ზედიზედ გვალვები დაიჭირა და დათესილი ყანები სულ ერთიანად აუხრაკა. ამეებითაც რომ ვერას გახდა, ჩავარდა დიდ გამოურკვეველ ფიქრში—და გულში იძრახავდა—აგრე უბედური რათ გამოვედიო. ამ ფიქრთან მას თავის მწარე წარსულიც ნათლად წარმოუდგა თვალ-წინ, რომელმაც მის თავზე გრიგალივით გადირბინა, ჩაფიქრდა და აშკარად დაინახა, რომ თუ წარსული უბედური ჰქონდა, ბედნიერი არც აწმყოში იყო და აწმყოს მეოხებით, კარგი არც მყობადი ექნებოდა. დღემდის რასაც შოულობდა, ხარჯად ძლივს ყოფნიდა და მომავლისთვის ხელცარიელი რჩებოდა. ამასთან, თუმცა მიწა-წყალის უქონლობის გამო გადასახადი არა ჰქონდა, სხვა მოულოდნელი ხარჯებიც უნდა ეხადნა, მაგ. მთავრობისაგან შეწერილი სოფლად კაცის კვლის გამო, ფოსტის გაძარცვისა ანუ საზეკუციო ხარჯები. ხშირად ბეგარაზედაც მიჰყავდათ: ხან გზების შესაკეთებლად, ხან მამასახლისის თანაშემწედ (ნაცვლად), საიდანაც უბრალო წანწალის მეტი არაფერი სარგებლობა არ ჰქონდა. ამეებით თავ-მობეზრებული სოფრომა უკანასკნელ დროს მაინც ბევრს ფიქრობდა, ფიქრობდა, რომ რამე გზით თავი დაეღწია ამ მუდმივ ტანჯვისაგან, რომელიც მას ყოველ წუთს უკარნახებდა „სხვისთვის ხარ გაჩენილიო“. იფიქრა, იფიქრა და ამ ფიქრში ერთხელ და სამუდამოდ გადასწყვიტა ყაჩაღად გავარდნა, მოშორება თავის სოფლის, ღარიბი ქოხის და მოხუცი დედის. დედის მიტოვება და უპატრონოდ დაგდება ძალიან უჭირდა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება იმდენად ჩაენერგა გულში, ღმერთს რომ ეხოვა ამის შეცვლა, არ დაუთმობდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ევ. ფურცხვანაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინგლისის ტყვიის მტყორცნელთა მოქმედება გერმანელ ცხენოსანჯარზე
(ერთი ეპიზოდი)

# ქართული სახიობა

**ვასო აბაშიძის საბენეფისოდ** „არტისტ. საზ. თეატრში" ოთხშაბათს წარმოდგენილ იქმნა ზ. ანტონოვის სცენები „მზის დაბნელება საქართველოში". დღევანდელი თვალსაზრისით, პიესას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ როგორც ისტორიული ნაწარმოები, საამო საცქერალია. ჩვენი სცენის ქურუმი ვ. აბაშიძე დიდი მადლობის ღირსია ამ პიესის წარმოდგენისათვის. პიესა დადგა ალ. წუწუნავამ შესაფერი სტილით. კარგი იყო სალიანგო სცენებში სხვა და სხვა ჯგუფები და ზოგიერთი ტიპი. აღმსრულებელთა შორის აღსანიშნავია თვით მობენეფისე ვ. ფრონისპირელი (საუცხოვო გლეხი), ელ. ჩერქეზიშვილი, ი. ივანიძე, პ. კორიშელი, ს. ბუჟანიშვილი, ვ. არაბიძე, ი. ზარდალიშვილი, ქ-ნი თოიძე, მ. ქორელი, კინტოებში—ალ. იმედაშვილი, ალ ყალაბეგიშვილი და ს. სვიმონიძე. სარაული მუდამ ერთის, ბოხი, მოუხეშავი ხმით ლაპარაკობს, ხმის დამუშავებას უნდა მიაქციოს ყურადღება. წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. წარმოდგენა 10 1/4 საათზე გათავდა.

**წინამძღვარ—ი**

**სახალხო სახლში** სახ. წარმ. მმართ. წრის სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს „ცხოვრების გარეშე" (ამ სეზონში მეორედ). წარმოდგენამ ჩვეულებრივად ჩაიარა.

**ქართ.-რუს. სასულიერო კონცერტი** კ. ფოცხვერაშვილის მონაწილეობით გაიმართა მეფის მოადგილის სასახლეში კვირას, 23 გიორგობისთვეს. კ. ფოცხვერაშვილის ნაწარმოებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ფ-მა ტაში და ეგზარხოსის მხრით მადლობაც დაიმსახურა. დაწვრილებით შემდეგ.

**ქუთაისის თეატრი.** „მეფე არლეკინი" დრამა 4 მოქ. დ. კასრაძისა.—ეს ახალი პიესა, რომლითაც ჩვენი დასი გაუმასპინძლდა ქუთათურებს, ძალიერ მოგვეწონა. მოგვეწონა როგორც შინაარსის, ისე გარეგნულის მხრითაც. გარეგნული მხარე ამ შემთხვევაში შეეხება ენას და არა სცენიურ ტეხნიკას, რომელიც კოჭლობდა და ხანდახან ზედმეტადაც. პიესა საუცხოვო ენით არის დაწერილი და სხვა ღირსებაც რომ არ ქონდეს, ესეც საკმარისი იქნებოდა, რადგან სილამაზე თავისთავად ძვირფასი განძია.

მაგრამ ჯერ პიესის შინაარს გავაცნობ ჩვენს მკითხველებს: უკანასკნელი მეფე ვენეციისა კვდება. მტრებმა მოხერხებული დრო იშოვეს და ქალაქს დაეცნენ. ტახტის მემკვიდრე ბოჰემონდი კი ჯერ არსად არის და მის მოსვლას მხოლოდ მოუთმენლად მოელიან. ყველანი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანკრედი, მარჯვენა ხელი სახელმწიფო მართვა-გამგეობაში, მისი ასული, რომელიც ბოჭემონდის საცოლეა; დედოფალი გერტრუდა კი რომელსაც ძლიერ უყვარს თავისი ხალხი და სახელმწიფო, არ ინაწილებს სხვის იმედს. მან იცის, რომ ბოჭემონდი, რომელიც ფუქსავატ, უდარდელ ცხოვრებას ატარებდა, ვერ გამოდგებოდა ტახტის ღირსეულ მემკვიდრედ. მაგრამ იგი იძულებულია შვილს, უღირს მეფეს თავზე გვირგვინი დაადგას. ბოჭემონდი გამოჩნდება სასახლეში თავისი ჯამბაზებით: არლეკინით, გასანდრით, ბრიგოლა და კოლომბინით არც მამის სიკვდილი, არც მტრის შემოსევა, არც ხალხის მწუხარება, არც სხვა ასეთი საზოგადო საქმე მას არ აინტერესებს. მისთვის მხოლოდ პირად ბედნიერებასა და დროს ტარებას აქვს ფასი და ამ მხრივ აქვს ყველას და ყველაფერს მისთვის ფასი. იგი მოუთმენლად მოელის გვირგვინს, მაგრამ ბედმა არ დააცადა. ბოჭემონდი მოწმე გახდება არლეკინსა და კოლომბინას შორის რომანტიულ სცენის. მასში იღვიძებს მხეცი, რომელიც არ ერიდებოდა არასოდეს არაფერს და ახლაც არლეკინს უნდა წაართვას საყვარელი არსება მაგრამ არლეკინი ამას ვერ ითმენს და ჰკლავს ტახტის მემკვიდრეს, რომლის გვამს შემდეგ ზღვის უფსკრულში გადააგდებს. და აი სწორედ აქედან გამოდის არლეკინი, დიდებული არტისტი მეფის როლში. იგი სარგებლობს საოცარი მსგავსებით და გამოცხადდება სასახლეში როგორც ბოჭემონდი, რომელმაც ვითომ მოჰკლა არლეკინი. ამ გარემოებას არლეკინი გაანდობს მხოლოდ გასანდროს და როცა დედოფალს უნდა გადაელოცა მისთვის მტერზე გამარჯვების შემდეგ გვირგვინი, გაუმხილეს იმასაც. გერტრუდას კი იმ ზომამდე სძულდა თავისი შვილი და უყვარდა ხალხი, რომ აპატია შვილის მკვლელს ყველაფერი, ადგამს თავზე სამეფო გვირგვინს და შემდეგ მიდის მონასტერში.

არლეკინი მსახიობი, ხდება არლეკინ მეფედ,—და მას სურს მეფობა, ამ სიტყვის სრულ მნიშვნელობით მაგრამ ამას წინ ეღობება ტანკრედ, მინისტრი, რომელსაც მეფე, როგორც დეკორაცია, ჰყავს წარმოდგენილი. როცა არლეკინი მოინდომებს ძველი წესების და ჩვეულების შეცვლას, იგი აღუდგება, „მაშ რა ვარ, მითხარით: მეფე ვარ თუ არა?“ კითხულობს არლეკინი და ტანკრედი უპასუხებს: „თქვენ ხართ მეფე,—სხვა არაფერი“. ამას არლეკინი არ ურიგდება. ამასობაში მას გარშემო უკვე შეთქმულება არის: შურის საძიებლად ემზადებიან. ჯერ ერთი კოლომბინა, რომელსაც არლეკინი კვდარი ჰგონია; მეორე არლეკინის მეუღლე ჟიზა, რომელსაც ერთის შეხედვით შეუყვარდა პირველივე ხანში არლეკინი, და რომლის მკვლელიც თავისი მეუღლე, მისის აზრითაც ბოჭემონდი მიაჩნია; მესამედ კი ტანკრედი.

არლეკინს, ტანკრედთან შეტაკების შემდეგ, მას შემდეგ რაც მიხვდა, რომ ის არ არის სრული მეფე, არამედ ბოჭემონდის ტყავში გახვეული არლეკინია, მიხვდა, რომ ასე დარჩენა არ შეუძლია იგი ეძებს გზას თავისუფლებისაკენ და, აი, ახსენდება კოლომბინ. უნდა გამოსცადოს იმასთან თავისი თავი. კოლომბინ უნიშნავს მას დროს, როცა უნდა გამოცხადდეს არლეკინი მასთან. კოლომბინას გადაწყვეტილი აქვს დღესვე მისი მოკვლა. ეს იციან შეთქმულების სხვა მონაწილეებმაც, რომელნიც ფანჯარაზე ფარდის ჩამოშვებით მიხვდებიან, რომ საქმე მოარიგა კოლომბინამ.

მაგრამ ანგარიში უმტყუნდებათ. არლეკინი მეფე, არლეკინის ტანისამოსში გამოეცხადება კოლომბინას და ისიც გარდაცემული გარბის ოთახიდან მოტყუებული შეთქმულნი, ასტეხენ განგაშს, მეფე მოკლესო. ტანკრედისვე ბრძანებით დაიჭერენ კოლომბინას. მაგრამ წარმოიდგინეთ მათი გაოცება, როცა მეფეს ნახვენ ცოცხალს. არლეკინი გამოჩნდება მაშინ თვისი ნამდვილი სახით. უარს ამბობს მეფობაზე, რის შემდეგაც გვირგვინი უნდა გადავიდეს უღვლად უმწეო, უბადრუკ ეზს მთავარზე. არლეკინმა კი ჰპოვა თავისი გზა. მან ფარდა ჩამოუშვა. იგი მეფის როლს თამაშობდა ჩინებულად და ახლა კი, როცა შეასრულა, თავისუფალია ახალ ცხოვრებისათვის.

დედოფალი გერტრუდას როლს ქ ჯავახიშვილი ასრულებდა. კარგი იყო საერთოდ, მხოლოდ სიძლიერე და სიდიადე აკლდა.

ბ შანშიაშვილმა, რომელიც თბილისიდან სპეციალურად მოიწვიეს ბოჭემონდის როლისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის, არ დაგვაკმაყოფილა, რადგან ჯერ ერთი სცენაზე თავს თავისუფლად ვერ გრძნობდა და როლიც ძლიერ სუსტად იცოდა.

ბ. გუნიამ (ტანკრედი) როლის უცოდინარობის გამო შესაფერის ხალისით ვერ ჩაატარა კარგი იყო მხოლოდ მესამე მოქმედებაში.

სუსტი იყო ბ. მესხიშვილი არლეკინის როლში; თუმცა ეს როლი ზედგამოჭრილია მისთვის, მაგრამ ეტყობოდა დაღალა და ეს არც გასაკვირველია, რადგან ძალზეა გაჭიანურებული, გასანკუთრებით არლეკინის პარტია.

ქ. ტასო აბაძის ასული ყოზას როლში სუსტი იყო, იმიტომ რომ არ არის ტასოს საქმე ასეთი ტიპის როლები. სად კომიკურ როლების ამსრულებელი და სად დრამატიული როლი.

ქ მღივანის ასული კარგად ასრულებდა უსიცოცხლო, უთვითნებო, მშიშარა ყიზას როლს.

ყველაზე უფრო კი ქ. დავითაშვილის ასული მოგვეწონა. მან სავსებით გამოხატა კოლომბინას ხასიათი, მისი შურისძიებისათვის გაწირული პიროვნება.

დანარჩენებს არა უშავდა რა. მაგრამ ყველაფერს მასიური სცენები სჯობდა. ეს მეორეჯერ ვნახეთ თითქმის უნაკლულოდ მოწყობილი მასიური სცენები. პიესა დაიდგა ბ შალიკაშვილის რეჟისორობით და რამდენადაც მას ხელს უწყობდა ქუთაისის ღარიბი სცენა, კარგადაც დადგა, თუმცა სხვა სცენაზე გაცილებით უკეთესი იქნებოდა.

პიესას უსათუოდ შესწორება ეჭირება. უნდა შემოკლდეს ზოგიერთი ადგილი; უნდა მოისპოს გამეორებაც; ტეხნიკური მხრითაც არის ზოგიერთი უხერხულობა, რომელიც ეხამუშება მაყურებელს. საერთოთ კი დიდი განძია ჩვენი ღარიბი რეპერტუარისათვის. დაწერილია როგორც ვსთქვი, კარგი ქართული ენით. წერის მანერა კი ძველებური აუღია ავტორს, თუმცა თანამედროვე არაფერს დააკლებდა არც ავტორს და არც პიესას. მერე დრამიდან მონოლოგები დიდი ხანია განიდევნა და ბ. კასრაძეს კი ისევ აქვს ეს. თუმცა არ ვიცი კი რა მოსაზრებით.

8 ნოემბეს წარმოადგინეს ბ. შიუკაშვილის „სიმახინჯე“, რომელიც ძალზე დამახინჯდა. ზოგიერთი მსახიობის საქციელი და გამბედაობა ძლიერ გასაკვირველია. საბას როლს მაგალითად გელოვანი ასრულებდა. თუ ამ როლისათვის საკმარისია კუზი, მუ[illegible]უკი, საკოჭლე, მოქცეული ცხვირი, და როლის ცოდნა, მაშინ კი, მაშინ ბ. გელოვანმა ეს როლი დასძლია. მაგრამ, მაგარიც ისაა, რომ მარტო ეს არ კმარა.

უფერული იყო, საერთოდ უკანასკნელ მოქმედებამდე ქ მღივნის ასული სონას როლში. აქ კი, როცა შიშისაგან გაფითრებული, ზიზღისაგან აკანკალებული პირისპირ დარჩება მახინჯ საბასთან, სრული სურათი შექმნა.

ქ. ჯავახიშვილის ასულმა გაამასხარავა დარეჯანის როლი, და არ მგონია ავტორს ასეთი დარეჯანი უნდოდეს. სრულიად არ ვარგოდა ქ. გოგოლაშვილის ასული მაროს როლში, როლი ხომ არ იცოდა და არა. მაგრამ სიცოცხლე რომელიც პიესის მიხედვით უნდა იყოს მასში, არსად ჩანდა.

არა უშავდა ბ შალიკაშვილს მოხუცებულ, უბადრუკ თომას როლში ბ. მჭალობლიშვილმა (ვასო მენაბდე) ან როლი არ იცოდა, ან ცუდ გუნებაზე იყო. ტასოს (გიორგი) და მურუსიძეს (ილიკო) საერთო მგლოვიარობაში სიხალისე შეჰქონდათ.

საერთოდ უნდა გამოვტყდეთ, არ დაგვაკმაყოფილა ამ პიესის წარმოდგენამ.

მხიარულმა კომედიამ „დედის ერთა“-მ, ძლიერ მხიარულად ჩაიარა და გულიანადაც ვაცინეთ, თორემ თქვენი მტერი ცუდათ იყო საქმე.

რაც შეეხება 9 ნოემბერს დადგმულ „სამშობლოს“, სჯობია არაფერი ვსთქვა. ერთი რომ ახალი რა უნდა ითქვას და მერე სათქმელი კარგი არაფერია. სჯობია კი ასეთი ძველი პიესა ან სულ არ ითამაშონ ან და კარგად შეასრულონ თუ ითამაშებენ. როლები მაინც ისწავლონ, თორემ უხერხულია, რადგან მაყურებელი ვერ ითმენს და ხშირად სუფლიორის როლსაც კი ასრულებს.

ხალხი ჩვეულებრივ ბლომად ესწრება.

L,ami

**ავლაბრის სახალხო თეატრში** გასულ კვირას წარმოდგენილ „ციმბირელს“ აჩქარება ეტყობოდა. ზოგიერთმა როლი კარგად არ იცოდა:

არ ცოდა, გარები სითი გა დო და სხ ნუ ჭ ონიათ, აქაოდა სასახლის სცენაზე ვართ, ყოველივე ვებათ: მხატვრულობა ყოველივე წვრილმანმას სამწირო ი. ...ვ ზაშვილი (მაზუთიანი) ...ე უფვერვეული იყო, ჩამდენილი ხმით ლაპარაკობდა ალაგ ალაგ იმას ჭყვიოდა, პაუზები გამოანგარიშებული და მიზანსცენები შეთანხმებული არ ჰქონდა. ა. გავოელი უკეთესი ნარგიზა იქნებოდა გადამეტებული დრამატიული კილო რომ არ აელო და თმაც გო ო'ავი ა ჩამოშვებული არა ჰქონოდა ამ ნიჭიერს სცენის მოყვარეს უკეთ შეეძლო ნარგიზას თამაში. ი. ივანიძე (ცი'ბირელი სმით, გრიმ ით, მიმოხვრით შესაფერი იყო, ეტყობოდა ნამდვილი ასახიობია და სცენის მცოდნე, იცის თვისი ხმაც როგორ მოიხმაროს და სამწუხაროდ, ასე არ წრთვნის სცენის მოყვარეთ, თორემ ერთი და ორი მსახიობის თამაში ანსამბლს ვერ შექმნის ვ მარგველაშვილი კოსტა მაშიკო იყო, ხმა კი თითქოს დაყოლილი ჰქონდა, მაშიკოს უფრო წკრიალა ხმა შეჰფერის და მეტი სიცქვიტე,—გ. იორდანიშვილი მშვენიერი პეტუა, ბუნებრივად ალმას რულებული როლისა, ა. შათირიშვილი კეთილსინდისიერად ასრულებდა ნიკოლას როლს, უფრო მეორე მოქმედების დასაწყისში იყო კარგი, მაგრამ მეტი ცეცხლი, მეტი გრძნობელობა რომ გამოეჩინა, სჯობდა, გ. გელიკურაშვილი გარეგნულად ტიპიური სტეფანე იყო. მაგრამ ამ დალოცვილმა თითქო არ იცი, რომ როლს სწავლა უნდა და ცაგარლის მარილიანი კილო-სიტყვის შეცვლა სიმახინჯეს უდ...ის ს. სულთანიშვილი მოხდენი-ი ქლესოვი აღმოჩნდა. მათ ახარს უჭერდენ ი. სააკოვი (ქალია) და ქ. მოსული (ვარო), ხოლო ციმბირელთან პირველად შეხვედრის დროს მეტი აღტყინება, ...ოცება და მოულოდნელი სიხარული უნდა გამოე...ატნათ. ამათ მიზან—სცენებიც სუსტად იცოდენ. წარმოდგენას ბლომა ხალხი დაესწრო, წესიერებაც არც ისე დაცვულა: წესიერებას ცავდნენ მორიგი გამგე ალ. თავდგირიძე და აგრეთვე გამგეობის თავმჯდომარე თ. ნასიძე.

— ერი

**ნაძალადევის სახალხო თეატრში** გასულ კვირას, 23 გიორგობისთვეს, ვიხილეთ ჩვენი დაუსახურებული მსახიობი ელ. ჩერქეზიშვილი (კატინა, ოროსე), ვ. აბაშიძე (ავეტიქა) და კოტე ყიფიანი (დავით ჯამბარაშვილი), „რაც გინახავს ველარ ნახავ“-ში რომელიც ს. სვ მონიძის (გიჟუა) რეჟისორობით დაიდგა. სიხარულით უნდა აღვნიშნოთ ჩვ ნის სცენის ქურუმთა დაუღალავობა, რომ შრომას გარჯას არ იზოგავენ და თვის მადალ ხელოვნებას განაპირა უბნელთაც უჩვენებენ. თქმა არ უნდა ზემოხსენებულ მსახიობთა მონაწილეობით პიესა საამო შთაბეჭდილებასაც მოახდენდა მსახიობთ მხარს უჭერდენ გ. სვანიძე (არტემ ივანიჩი), ი. კანდელაკი (მოურავი) ა. ომანიძე კოხტაიას როლში უკეთესი იქნებოდა რომ უფრო მკაფიოდ ელაპარაკნა,—ეტყობა ხმა განვითარებულ დამუშავებული არა აქვს. დანარჩენებმა პიესის კარგად ჩატარებას ხელი შეუწყეს და შთაბეჭდილების სისრულე არ დაარღვიეს, რომ ბ ნს რეჟისორს უდროვოდ არ გამოეჩინა მასწავლებლობა: მას ფარდის ახდამდე უნდა ესწავლებინა სცენის მოყვარეთათვის—რო...ორ შეესრულებინათ როლი და არა სცენაზე, მაყურებელთა წინაშე, თორემ ისეთი შთაბეჭდილება მივიღეთ, თითქო ჭკუას დაგვანხვიოს—იცოდეთ, მე რო არ გასწავლიდე არაფერი იქნებოდა იმედია შემდეგისათვის ასეთს არაფერს ვნახავთ,—ბ-ნ სიმონიძეს კი თვისი გამოცდილებით შეუძლიან სარგებლობა მოუტანოს ნაძალადევის თეატრს..

მაგრამ რაღა თეატრი! - დიდი ბიჭობა გინდათ, რომ ბინდისას მიაგნოთ განსაკუთრებით: მოქმედების დროს ისეა ჩამობნელებული, რომ... საჭიროა ამას მეტი ყურადღება მიექცეს და შიგნითაც შელამაზდეს.

თუ მოინდომებს შეიძლება: ჩვენ გვწამს, რომ ნაძალადეველთა შორის ბევრი კეთილგონიერი და წინმსვლელობის მეტრფიალეა,—მათი შეერთებული შრომა ყოველ სიძნელეს დასძლევს

ხალხი?—სწორედ მოგახსენოთ არ გვეკონა თუ ნაძალადევის აუდიტორია იყო: მოქმედების დროს ლრიანცელი, უწმაწური სიტყვები და სხ.,—მეტად ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებდა. თეატრში ისე უნდა შედიოდენ, როგორც ტაძარში და თვითვე ცდილობდენ წესიერების დაცვას.

უსავანო

# წვრილი ამბები

**ქართვ. მსახ. ამხანაგობის** შემდეგი წარმოდგენები „სახ. სახ“.-ში 1 დეკ. „იმედის დაღუპვა“, 3 დეკ. „ზღვასთან“.

◆ **ქართ. თეატრის აღსადგენ ფონდის** გასაძლიერებლად ვ. კირვალიძემ ბაქოში ჯერჯერობით ათი თუმანი შეჰკრიბა. ამავე მიზნით ბ ნი ...უჩუა აგროვებს ფულს ბაქოს „კლუბში“, ბ ნი ძ...ელაძე „ხუტაროკში“. ხალხი საამოვნებით სწ რავს თვის წვლილს.

(იხ. გაგრძელება კანზე)

Дозволено Военной Цензурой.
რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

# წვრილი ამბები

✦ **ნოქართა კლუბი** (ლორის-მელიქოვის ქ.) გაიხსნა შაბათს, 22 გიორგ., კლუბი დაარსებულია იბილ. კომერც. დაწესებულებათა ნოქრების მიერ, მოთავსებულია მშვენიერ დარბაზში. აქვეა მოწყობილი სცენა, პარტერი, საბილიარდო ოთახი და სხ. გაიმართება წარმოდგენები, ლექციები თუ სხვა გასართობნი რუსულად, ქართულად, სომხურად. უკვე არჩეულია სათეატრო, სალექციო, საბიბლიოთეკო და საექსპედიციო სექციები. ამ კლუბის დაარსება ამ ორი წლის წინად განიძრახეს და ახლა აღასრულეს კიდეც. კლუბის წევრია ყველა ნოქარი, ეროვნების განურჩევლად. ხსენებულ საღამო-ვახშამზე იყვნენ წარმომადგენელნი სცენის, პრესის და სხ. ბევრი საგულისხმო სიტყვა ითქვა.

— **გარე-კახეთის გლეხთა** წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს ქართული თეატრის ასაშენებლად სააღმაშენებლო კომიტეტს ფულით შეწევნის გარდა, ურმებითაც დაეხმარონ.

— **გარეჯელებმა** ფული შეაგროვეს ქართული თეატრის აღსაშენებლად თბილისში.

✦ **მოქანდაკე ი. ნიკოლაძე** აცხადებს, რომ ქართულ თეატრში ცეცხლის გაჩენის დროს დაიკარგა მის მიერ გაკეთებული კ. მესხის ბიუსტი, რომელიც ძვირფასი იყო მით, რომ გადაღებული იყო ცოცხლის დროს მისი სახიდან. ამიტომ სთხოვს ყველას, თუ ვინმე აღმოაჩინოს სადმე — აცნობოს მოქანდაკეს. ბიუსტი თეატრის წინა ფოიეში იდგა.

**უცხოეთა შორის**

— **ბრძოლის ველზე** მდ. ენთან დაიღუპა საფრანგეთის ცნობილი არქეოლოგი ჟოზეფ დეშელესი, ავტორი მრავალ სამეცნიერო შრომისა. მისი გამოკვლევანი შეეხება ისტორიის წინა ხანასა და არქეოლოგიას. განსვენებული 53 წ. იყო.

— **ბარიტონთა მეფე,** გამოჩენილი მომღერალი მ. ბატისტინი რომის თეატრს „Forros"-ში კონცერტსა ჰმართავს მოკავშირე სახელმწიფოების დაჭრილთა სასარგებლოდ. ამავე მიზნით გამართავს კონცერტს საქალაქო მოედანზე, სადაც 50 ათასი კაცი ეტევა. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ იტალიის საუკეთესო მომღერალნი. შემოსავალს ნახევარ მილიონ ფრანკამდე ელიან. ამავე პროგრამით გაიმართება კონცერტი იტალიის სხვილ ქალაქებშიაც.

✦ **პარიზის სათეატრო ცხოვრების** ძარღვის ცემა შესწყდა, ყველა თეატრი დაიკეტა, მსახიობნი ბრძოლის ველზე გაიწვიეს, მსახიობ ქალნი — მთელი დღეობით ჰკერავენ და ჰქსოვენ ჯარისთვის საჭირო სამოსს. მხოლოდ კინემატოგრაფებია ღია, ისიც — დღის 10 საათამდის.

**წვრიმალი**

— **საომარი ხარჯებისთვის** რუსეთმა, საფრანგეთმა, ინგლისმა და გერმანიამ ორმოცი წლის განმავლობაში დახარჯეს ორასი მილიარდი ფრანკი (დაახლოებით 67 მილიარდი მან.) (ვ. ს.)

— **ბერ-მონაზონ-მღვდელთა ბუდედ გადაიქცა** სიამი, რომლის მცხოვრებთა საერთო რიცხვი უდრის 6 მილიონს, ხოლო მათ შორის 170 ათასი სასულიერო წოდების კაცია, ტაძარ-მონასტრებში განცხრომით მცხოვრები.




ჟ უ რ ნ ა ლ ი

**თეატრი და ცხოვრება**

სათეატრო ჟურნალი

წლიურად 5 მ., ნახევარიწლით 3 მ, თითო ნომერი ყველგან 10 კ.

ჟურნალში დასაბეჭდი მასალები უნდა გამოიგზავნოს იოსებ იმედაშვილის სახელზე — Тифлисъ. Ред жур. „Театри да Цховреба" Іос. Зах. Имедашвили.

**მიიღება ჟურნალში დასაბეჭდი განცხადებანი.**

პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის" სტამბაში (მადათოვის კუნძ. № 1) დილით 9-2 ს. საღ. 5-6 ს.




(წ.—36) 4—2

ექ. ვახტანგ ლამბაშიძის

# სანატორიუმი

პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე

ქალ-ვაჟთათვის 8—15 წლამდე

დაწვრილებით პირობები მსურველთ გაეგზავნებათ ფოსტით მოთხოვნილებისათანავე.

მისამართი: თბილისი ექ. ვ. ლამბაშიძე

ვარდისუბნის ქუჩ. № 9. (წ.)

## ექიმები:

**ა. ო. იაშვილი**

(თბილისის საქალაქო 1-ლი ნაწილის მკურნალი)

[illegible]ნ ავადმყოფობათა.

[illegible] 10 ს., საღამოთი 5—7 ს.

[illegible] წყნეთის ქ., № 19.

**კბილისა ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს

დილით 9—2 სათ., საღამოს 5—7 [illegible]

გოლოვინის პრ., № 12

**გ. დ. ლამბაშიძე**

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობისა.

ვარდის უბნის ქ. № 9.

**ნ. ი. თიკანაძე**

(თბილისის საქალაქო მკურნალი)

შინაგან სნეულებათა

დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს.

კიროჩნი ქ. № 18

**შ. ა. მიქელაძე**

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობათა.

საღამოთი 6—7 ს.

მიხეილის პროსპ. № 117. ტელეფ. 8—16.

**გ. ფ. ნათიშვილი**

აზნის, ვენერიული და სიფილისის

დილით $11^1/_2$—1 ს., საღამოთი 6—7 ს.

მონუმენტის ქუჩ. № 5. ტელეფ. 4—87.

იოსებ იმედაშვილის გამოცემა № 51

**სიზმარი** ზღაპარი-ფეერია 3 მ. და 7 ს. ი. გედევანიშვილისა, ავტორის მოკლე ბიოგრაფიით, სურათებით და ექვსი ნახატით. **ფ. 30 კ.** ათობლივ და ასობლივ ნაღდზე მყიდველთ თითო წიგნი დაეთმობა 22 კ. ფასდადებითაც გაიგზავნება.

მისამართი: Тифлисъ, ред. „Театръ да Цховреба"—Іосифу Имедашвили.

(12—12)

**ახალი წიგნი**

ლექსები, სცენები და მოთხრობები

**ა. მ. ახნაზაროვისა**

ავტორის პორტრეტით, კრიტიკული წერილით და სხვა სურათებით. ფ. 60 კ. საწყობი ავტორთან—საპერის ქ., № 5, საკ. სახლი. წიგნით მოვაჭრეებს ჩვეულებრივი % დაეთმობა.

(7—12)

**22 აგვისტ. გამოდის ყოველდღიური** საპოლიტ. და სალიტ. გაზეთი

## ახალი აზრი

**გაზეთის ფასი:** 1 წლით—7 მ., 6 თვით—4 მ. 3 თვით—2 მ. 50 კ., 1 თვით თბ.—80 თბ. გარეთ—90 კ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი.
**კანტორის ადრესი:** Тифлисъ, Орбеліановская ул. № 36
**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით:** Теофилу Марковичу Кекелидзе. Тифлисъ. Орбеліановская ул., № 36.
სხვა ადრესით ფულს რედ. ვერ მიიღებს რედაქციის კან. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება დილ. 12—1 ს., სად. 5—6 ს.

## შრომა

**სალიტ.-საპოლ. და ეკონომიური გაზეთი გამოდის ორ შაბათობით.**
რედაქცია: გიმნაზიის ქ., პ. ფერაძის და ნ. კარნაუხოვის სტამბის სადგომში.
**გაზეთის ფასი:** წლით—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ., ცალკე ნომერი 5 კ., საზღვარ გარეთ ორჯერ მეტი.
ფული და წერილები მიიღება: Кутаисъ, ред. еженед. груз. газеты „Шрома"

„სორაპანი"-ს გამოცემა

დაიბეჭდა და გამოვიდა **ქართველი მწერლები**

შედგენილი გომელაურის მიერ, ნაწ. I.

ფასი 80 კ.


სტამბა „სორაპანი" Типографія „Сорапань"